# ხელშეკრულება №07/16

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი                                                            21 იანვარი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ლომოურის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გლობუსი ემ-ბე" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით საკანცელარიო საქონლის შესყიდვა (CPV:30100000,22800000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1500,00(ერთიათასხუთასილარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი,ხუდადოვის ქ. #63).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

## მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

## მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 მომსახურეობის გაწევის ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ - ქალაქ თბილისის №5 საჯარო სკოლა<br>ს/კ 202887723<br>მის: ქ. თბილისი, ხუდადოვის ქ. #63<br>ტელ: 2954727<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი<br>ა/ა GE02BG0000000120247600<br><br>დირექტორი<br>(ხელმოწერა)<br>ბ.ა | შპს „გლობუსი ემ-ბე"<br>ს/კ 202446969<br>მის.: წერეთლის გამზირი 141-ა<br>ტელ.:<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE72BG0000000193217500<br><br>დირექტორი<br>(ხელმოწერა)<br>ბ.ა |

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანცელარიო საქონელი | ცალი | | | 1500 |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |
| 6 | | | | | |
| 7 | | | | | |
| 8 | | | | | |
| 9 | | | | | |
| 10 | | | | | |
| სულ ღირებულება | | | | | 1500,00 |

სსიპ - ქალაქ თბილისის №5 საჯარო
სკოლის დირექტორი /ზ. ლომოური/

დირექტორი:

# Invoice

**GLOBUS MB ltd.**

22,01,2016


გამყიდველი:

ორგანიზაცია : შპს "გლობუსი ემ-ბე"

ს/კ : 202446969

მისამართი : ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი 141ა,

ტელეფონი : (032)2 34 49 12

ელ. ფოსტა: info@globusi.ge

ბანკი : საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი : BAGAGE22

ა/ა GE72BG0000000193217500


მყიდველი:

ორგანიზაცია :

ს/კ :

მისამართი

ტელეფონი :

ელ. ფოსტა:

ბანკი :

ბანკის კოდი :

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 442 ბაინდერი | 15 | 3 | 45 |
| | | 11 ფაილი | 15 | 6 | 90 |
| | | 284 საქაღალდე | 20 | 0,4 | 8 |
| | | 3040 სტიკი | 10 | 1 | 10 |
| | | 3040 სტიკი | 12 | 1,8 | 21,6 |
| | | 003 სკოჩი | 10 | 3,5 | 35 |
| | | 011 სკოჩი | 13 | 0,2 | 2,6 |
| | | 870 ფანქარი | 25 | 0,5 | 12,5 |
| | | 452 კალამი | 90 | 0,4 | 35 |
| | | 0746 ფანქარი | 1 | 1 | 1 |
| | | 855 ფანქრის წვერი | 1 | 1 | 1 |
| | | 130 სახაზავი | 5 | 1 | 5 |
| | | გ-209 მარეკრი | 3 | 1 | 3 |
| | | 8700 მარკერი | 2 | 2 | 4 |
| | | 168 მარკერი | 3 | 1 | 3 |
| | | 5569 წებო | 8 | 1 | 8 |
| | | 1040 წებო | 8 | 1 | 8 |
| | | ლ107 ბლოკნოტი | 1 | 6 | 6 |
| | | ლ180 ბლოკნოტი | 6 | 8 | 48 |
| | | 2ქ ბლკნოტი | 2 | 7 | 14 |
| | | 113 კლიპსი | 24 | 0,4 | 9,6 |
| | | 289 კლისი | 12 | 0,3 | 3,6 |
| | | მაგიდის კალენდარი | 12 | 3,5 | 42 |
| | | 1181 კორექტორი | 10 | 1,5 | 15 |
| | | 8860 კორექტორი | 3 | 2 | 6 |
| | | 8815 ჩეკის ლურსმანი | 2 | 3,5 | 7 |
| | | 78 სკობი | 5 | 0,4 | 2 |
| | | დს10 სტეპლერი | 1 | 2,5 | 2,5 |
| | | 680 სკობი | 10 | 0,5 | 5 |
| | | 151 ჭიკარტი | 11 | 0,5 | 5,5 |
| | | 22 სკრეპი | 10 | 0,5 | 5 |
| | | 38 ფაილიანი პაპკა | 2 | 3 | 6 |
| | | 650 საშლელი | 8 | ,0,5 | 4 |
| | | 3717 თითის ბალიში | 4 | 1 | 4 |
| | | 1007 ჟურნალმთავარი დავთარი | 1 | 1,5 | 1,5 |
| | | 222 მემორიალური ორდერი | 2 | 1 | 2 |
| | | 1198 გამარტ აღ | 3 | 1,5 | 4,5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6348 ლუპა | | 1 | 6 | 6 |
| | | 27 ფანქარი | | 1 | 0,1 | 0,1 |
| | | 5612 საარქივე ყუთი | | 2 | 4 | 8 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | 3865 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | ~~493,00~~ |
| | | | | | | |
| | | | | | | |

501,00

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0217634227 |
|---|---|---|

| 2 | 22/01/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 3 | 13:00:51 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | შპს გლობუსი ემ-ბე | 202446969 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ ქალაქ თბილისის #5 საჯარო სკოლა | 202887723 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | თბილისი წერეთლის 141 ა |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | თბილისი ხუდადოვის #63 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | BH425HB |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| X |
|---|

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 60001037379 ბესიკ მალაქმანიძე |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 442 საქაღალდე ბაინდერი დიდი | 00194 | ცალი | 15.0000 | 3.0000 | 45.0000 |
| 2 | 11 ფაილი ა4 100ც | 00074 | ცალი | 15.0000 | 6.0000 | 90.0000 |
| 3 | 284 საქაღალდე ბაფთით | 00301 | ცალი | 20.0000 | 0.4000 | 8.0000 |
| 4 | 3040 წებოვანი სტიკი დოლ-3040 | 01981 | ცალი | 10.0000 | 1.0000 | 10.0000 |
| 5 | 3040 წებოვანი სტიკი დოლ-3040 | 01981 | ცალი | 12.0000 | 1.8000 | 21.6000 |
| 6 | 003 სკოჩი 45მმ/100მ | 01526 | ცალი | 10.0000 | 3.5000 | 35.0000 |
| 7 | 011 სკოჩი 15მმ/17მ | 01522 | ცალი | 13.0000 | 0.2000 | 2.6000 |
| 8 | 870 ფანქარი | 00305 | ცალი | 25.0000 | 0.5000 | 12.5000 |
| 9 | 452 პასტა ( პენსანი) | 00283 | ცალი | 90.0000 | 0.4000 | 36.0000 |
| 10 | 0746 მექანიკური ფანქარი 2მმ | 01443 | ცალი | 1.0000 | 1.0000 | 1.0000 |
| 11 | 855 ფანქრის წვერი | 00799 | ცალი | 1.0000 | 1.0000 | 1.0000 |

| 13 | 501 - ხუთას ერთი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 22/01/2016 | 13:00:52 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 25/01/2016, 10:14:57

0217634227 სასაქონლო ზედნადების დანართი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ჩ130 სახაზავი | 10630 | ცალი | 5.0000 | 1.0000 | 5.0000 |
| 13 | გ-209 მარკერი | 10672 | ცალი | 3.0000 | 1.0000 | 3.0000 |
| 14 | 8700 ტექსტმარკერი | 01942 | ცალი | 2.0000 | 2.0000 | 4.0000 |
| 15 | 168 ტექსტმარკერი ნოკი | 00066 | ცალი | 3.0000 | 1.0000 | 3.0000 |
| 16 | 5569 წებო დოლპინის 8გრ | 01188 | ცალი | 8.0000 | 1.0000 | 8.0000 |
| 17 | 1040 წებო თხევადი | 00989 | ცალი | 8.0000 | 1.0000 | 8.0000 |
| 18 | ლ107 ბლოკნოტი ალფავიტით ა5 | 22475 | ცალი | 1.0000 | 6.0000 | 6.0000 |
| 19 | ლ180 ბლოკნოტი ა5 | 01277 | ცალი | 6.0000 | 8.0000 | 48.0000 |
| 20 | ბკ2ქ ბლოკნოტი | 01999 | ცალი | 2.0000 | 7.0000 | 14.0000 |
| 21 | 113 კლიპსი# 1241 მმ (ნოკი) | 00323 | ცალი | 24.0000 | 0.4000 | 9.6000 |
| 22 | 289 კლიპსი 32მმ | 00090 | ცალი | 12.0000 | 0.3000 | 3.6000 |
| 23 | მაგიდის კალენდარი | 01667 | ცალი | 12.0000 | 3.5000 | 42.0000 |
| 24 | 1181 შტრიხი პასტა | 00125 | ცალი | 10.0000 | 1.5000 | 15.0000 |
| 25 | 8860 კორექტორი როლერი | 22464 | ცალი | 3.0000 | 2.0000 | 6.0000 |
| 26 | 8815 ჩეკის ჩამოსაცმელი ლურსმანი | 01943 | ცალი | 2.0000 | 3.5000 | 7.0000 |
| 27 | 78 სკობი#10 | 00355 | ცალი | 5.0000 | 0.4000 | 2.0000 |
| 28 | დს10 სტეპლერი | 01173 | ცალი | 1.0000 | 2.5000 | 2.5000 |
| 29 | 680 სტეპლერის ტყვია 24/6 26/6 | 00181 | ცალი | 10.0000 | 0.5000 | 5.0000 |
| 30 | 151 ჭიკარტი | 00540 | ცალი | 11.0000 | 0.5000 | 5.5000 |
| 31 | 22 სკრეპი #3 | 00383 | ცალი | 10.0000 | 0.5000 | 5.0000 |
| 32 | 38 საქაღალდე 30 ფაილით | 00106 | ცალი | 2.0000 | 3.0000 | 6.0000 |
| 33 | 650 საშლელი | 00619 | ცალი | 8.0000 | 0.5000 | 4.0000 |
| 34 | 3717 თითის დასასველებელი | 01235 | ცალი | 4.0000 | 1.0000 | 4.0000 |
| 35 | 1007 ჟურნალ-დავთარ | 00032 | ცალი | 1.0000 | 1.5000 | 1.5000 |
| 36 | 222 მემორიალური ორდერი | 00014 | ცალი | 2.0000 | 1.0000 | 2.0000 |
| 37 | 1198 შემოს და ხარჯ გამ. წიგნი | 00031 | ცალი | 3.0000 | 1.5000 | 4.5000 |
| 38 | 6348 ლუპა 75მმ | 01167 | ცალი | 1.0000 | 6.0000 | 6.0000 |
| 39 | 27 უბრალო ფანქრები | 00166 | ცალი | 1.0000 | 0.1000 | 0.1000 |
| 40 | 5612 ბაინდერი ა4 | 22401 | ცალი | 2.0000 | 4.0000 | 8.0000 |

| 13 | 501 - ხუთას ერთი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 22/01/2016 | 13:00:52 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 25/01/2016, 10:14:57

# მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 22 იანვარი 2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ქალაქ თბილისის #5 საჯარო სკოლა და მისი წარმომადგენელი სკოლის დირექტორის ზაზა ლომოურის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), მეორეს მხრივ შპს „გლობუსი ემ-ბე"-ის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი").

ამ აქტით ვადასტურებთ, რომ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 22 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება # 07/16-ის საფუძველზე მოხდა საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

საქონლის შესყიდვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 501,00 (ხუთასერთილარი და 00 თეთრი) ლარს.

წინამდებარე აქტი შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა და წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებული 2016 წლის 22 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება # 07/16-ის შემადგენელ ნაწილს.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

------------------- /ზ. ლომოური/ --------------------

შეთანხმება

ქ. თბილისი „1“ თებერვალი 2016 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, 2016 წლის 21 იანვარს გაფორმებული N 07/16 ხელშეკრულების მხარეები, სსიპ ქალაქ თბილისის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ლომოურის სახით, და მეორე მხრივ, შპს „გლობუსი ემ-ბე„( შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბეშიძის სახით, 2016 წლის 21 იანვარს ჩვენს შორის გაფორმებული N07/16 ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ჩვენს შორის 2016 წლისმ 21 იანვარს გაფორმებული N 07/16 ხელშეკრულება საკანცელარიო საქონლის შესყიდვის შესახებ შეწყდეს 2016 წლის 1 თებერვლიდან.

2. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, მეორე კი მიმწოდებელთან და წარმოადგენს 2016 წლის 21 იანვარს გაფორმებული N07/16 ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

3. შეთანხმება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო
სკოლის დირექტორი /ზ. ლომოური/

შპს ,,გლობუსი ემ-ბე„ /ბეშიძე/